მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

დაწესებულების შესახებ ინფორმაცია

| | |
|---|---|
| დაწესებულება | სსიპ „დაგმარა ცანავა ხელოსანი 95" |
| საიდენტიფიკაციო კოდი | 222430876 |
| რეგიონი | იმერეთი |
| რაიონი | ქუთაისი |
| მისამართი | ჯავახიშვილის ქ.N24 |
| საფოსტო ინდექსი | 4600 |
| დაწესებულების ვებ-გვერდი | http://milenium.ge/ |
| დაწესებულების ელ-ფოსტა | swavlisdziri@yahoo.com |
| ტელეფონი/ფაქსი | 571021772 |
| დაწესებულების ხელმძღვანელი | |
| სახელი და გვარი | ნანი შარუხია |
| ტელეფონი | 571021772 |
| ელ-ფოსტა | ---- |
| დაწესებულებაში მოსწავლეებისა და პედაგოგების რაოდენობა | |
| პედაგოგი | 24 |
| მათ შორის პრაქტიკოსი/უფროსი/წამყვანი | 5/3/0 |
| 2023 წლამდე პირობით აყვანილი | 13 |
| მოწვეული მასწავლებელი | 3 |
| მოსწავლე/სსსმმოსწავლე | |
| ინფორმაცია დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ | |
| გადაწყვეტილების ნომერი | N30, 10 თებერვალი 2017წ. |
| მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა | 150 |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..............................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..............................

მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

დაწესებულება ახორციელებს

- ☒ დაწყებითი ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამას
- ☒ საბაზო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამას
- ☒ საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამას
- ☐ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას

ინფორმაცია მონიტორინგის ჯგუფის ვიზიტის შესახებ

| | |
|---|---|
| მონიტორინგის განხორციელების საფუძველი | ბრძანება N 822, 05.09.2018 |
| მონიტორინგის ჯგუფის წევრები | ნოდარ ანგურიძე - თავმჯდომარე;<br>ლევან ღურწკაია - წევრი |
| ვიზიტისგანხორციელების პერიოდი | 13 და 14 სექტემბერი 2018 წელი |
| დასკვნის მომზადების თარიღი | 20 სექტემბერი 2018 წელი. |

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..............................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..............................

მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა
ავტორიზაციის სტანდარტების შესრულების შემოწმების შედეგად დადგინდა შემდეგი

II. მატერიალური რესურსი

2.1 დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის:

ა) ერთ მისამართზე არსებული საერთო ფართი:

| | |
|---|---|
| აღწერა | სპს დაგმარა ცანავა ხელოსანი 95 ფუნქციონირებს ქ. ქუთაისში ჯავახიშვილის ქ. N24-ში მდებარე ოთხსართულიან შენობაში. საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით (იხ. დანართი 1) შენობის მესაკუთრეა ფიზიკური პირი ზურაბი ფილიპია (პ/ნ 60002001574), რომელთანაც სკოლას გაფორმებული აქვს იჯარის ხელშეკრულება (იხ. დანართი 2), რომლის საფუძველზეც სკოლის სარგებლობაშია: შენობა N02-ის პირველი სართული ფართით 51,16 კვ.მ., მეორე სართული ფართით: 232,39 კვ.მ; მესამე სართული ფართით: 202.72 კვ.მ; მეოთხე სართული ფართით 210.9 კვ.მ., დარბაზი ფართით 159,8 კვ.მ. ეზო 200 კვ.მ. საბოლოო თარიღი 01/09/2024<br>სკოლაზე გადაცემულ ფართს აქვს დამოუკიდებელი, შესასვლელი. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს მეორე, მესამე და მეოთხე სართულებზე.<br>საგულისხმოა, რომ სკოლა შიდა დოკუმენტაციის წარმოებისას გარდა ოფიციალური სახელისა, რომლითაც დაწესებულება რეგისტრირებულია მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში „სპს დაგმარა ცანავა ხელოსანი 95" (იხ. დანართი 3) მიმდინარე სასწავლო წლის დაწყებამდე, დაწესებულება მოხსენიებოდა როგორც სპს დაგმარა ცანავა ხელოსანი 95 კერძო საშუალო სკოლა „სწავლის ძირი", ხოლო მიმდინარე წლიდან იწოდებიან სპს დაგმარა ცანავა ხელოსანი 95 კერძო საშუალო სკოლა "მილენიუმიუმი". ამის გამო სკოლის ელექტრონული ფოსტის მისამართია |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ............................................
მონიტორინგის ჯგუფის წევრი ............................................

| | მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა |
|---|---|
| | swavlisdziri@yahoo.com, ხოლო ვებგვერდის მისამართია http://milenium.ge. აღნიშნულთან დაკავშირებით სკოლას მიეცა რეკომენდაცია, რომ შეარჩიოს და იწოდებოდეს ერთი სახელით, რადგან სახელთა სიმრავლემ და განსხვავებულობამ შესაძლოა მომხმარებელთა დაბნევა გამოიწვიოს. ამასთან სასურველია დაწესებულებამ ოფიციალურად დაარეგისტრიროს ის სახელი, რომლის გამოყენებაც სურს. |
| მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი | N03.01.22.005 |
| დადასტურება/დანართი | ამონაწერით საჯარო რეესტრიდან (დანართი N1 - 3 ფურცლად);<br>იჯარის ხელშეკრულება (დანართი N2 - 5 ფურცლად);<br>ამონაწერი მეწარმეთა რეესტრიდან (დანართი 3 – 2 ფურცლად). |
| შეფასება | დაკმაყოფილებულია „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ა.ა" ქვეპუნქტი. |

ბ) საკლასო ოთახები, აღჭურვილია სათანადო ინვენტარით, კერძოდ: ინდივიდუალური მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით

| | |
|---|---|
| აღწერა | შენობაში არის 12 საკლასო ოთახი ერთი კომპიუტერული კლასი, სპორტული დარბაზი (159,3 კვმ რემონტშია), სამასწავლებლო, დირექტორის კაბინეტი, ექიმის კაბინეტი, ბიბლიოთეკა, ფართი ბუფეტისთვის და სარეზერვო ოთახები. ყველაზე პატარა საკლასო ოთახი არის 11.07 კვმ სადაც განთავსებულია 6 ინდივიდუალური მერხი და სკამი, ხოლო |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..............................
მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..............................

| | |
|---|---|
| | ყველაზე დიდი საკლასო ოთახი 22.5კვ.მ-ია რომელშიც განთავსებულია 12 მერხი და სკამი (იხ. დანართი 4. სულ საკლასო ოთახები აღჭურვილია 110 ინდივიდუალური მერხითა და სკამით, გარდა ამისა დასაწყობებულია 44 მერხი და 46 სკამი.<br>სულ სკოლას აქვს 154 ერთადგილიანი მერხი და 156 სკამი. |
| დადასტურება/დანართი | ვიზუალური დათვალიერებით;<br>შიდა აზომვითი ნახაზი (დანართი 4, ორ ფურცლად);<br>მერხების შეძენისა და გადაკეთების დოკუმენტებით. |
| შეფასება | დაკმაყოფილებულია საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2011 წლის 1 დეკემბრის N383 გადაწყვეტილების მოთხოვნა. |

გ) სპორტული დარბაზი, ეზო ან მოედანი

| | |
|---|---|
| აღწერა | დაწესებულებას გააჩნია სპორტული/სააქტო დარბაზი (რემონტშია). სკოლას საბაზო და საშუალო საფეხურზე სპორტის სახეობებად არჩეული აქვს ჭადრაკი, ფრენბურთი და კალათბურთი. ჭადრაკის მეცადინეობისათვის სკოლას შეძენილი აქვს ჭადრაკის კომპლექტი და ერთი სადემონსტრაციო დაფა. |
| დადასტურება/დანართი | ვიზუალური დათვალიერებით.<br>დირექტორთან გასაუბრებით. |
| შეფასება | დაკმაყოფილებულია „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ა.გ" ქვეპუნქტი. |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..............................
მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..............................

დ) სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები

| | |
|---|---|
| აღწერა | სკოლას აქვს საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის კომპლექტი, რომელშიც არ არის ყველა დასახელება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 9 აგვისტოს "ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მატერიალური რესურსის პარამეტრების თაობაზე რეკომენდაციების დამტკიცების შესახებ" N572 ბრძანებით განსაზღვრულ ჩამონათვალთან. ამ ჩამონათვალიდან, რომელთა საერთოraოდენობა 108 ერთეულია, სკოლას შეძენილი აქვს მხოლოდ 54 ერთეული, ანუ დაახლოებით 25 % (იხ. დანართი 5).<br>გარდა ამისა სკოლაში არსებობს ძველი ლაბორატორიული კომპლექტების რამოდენიმე ელემენტი. აღნიშნული ლაბორატორიული კომპლექტი (ფიზიკა, ბიოლოგია და ქიმიის) განთავსებულია ერთ საკლასო ოთახის კარადაში (ოთახის ფართი: 20,6 კვმ). აღნიშნულ ოთახში არის ნიჟარა ონკანით, არ არის გამწოვი, თუმცა არის განიავების საშუალება - ორი ფანჯარა. |
| დადასტურება/დანართი | ვიზუალური დათვალიერებით;<br>ლაბორატორიის შესყიდვის დოკუმენტაციით (დანართი 5, ხუთ ფურცლად). |
| შეფასება | არ არის დამაკმაყოფილებელი „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ა.დ" ქვეპუნქტი. |

2.2 სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..............................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..............................

მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

| | |
|---|---|
| აღწერა | სკოლის საკლასო ოთახები, რომლებიც მეორე და მესამე სართულზეა ნათელია და აქვთ კარგი ბუნებრივი განათება, თუმცა მეოთხე სართულზე არსებული 2 საკლასო ოთახის და ლაბორატორიული კლასის განათება მართალია მზიან დღეს კარგია, მაგრამ მოღრუბლულ დღეს საკლასო ოთახებში არასაკმარისი ბუნებრივი განათებაა და საჭიროებს ხელოვნური განათების ჩართვას.<br>სკოლის შენობის გათბობა მოხდება ელექტრო ღუმელების საშუალებით, რომელთა შეძენასაც სკოლა აპირებს ზამთრის სეზონისთვის. სკოლის მეორე, მესამე და მეოთხე სართულზე მოწყობილია 2-2 სველი წერტილები.<br>სკოლას, ელექტროენერგია და წყალი მიეწოდება საქალაქო ქსელიდან. ვიზიტის პერიოდისთვის სკოლას არ ჰქონდა დამთავრებული დამოუკიდებელ აბონენტად რეგისტრაციის პროცესი. |
| დადასტურება/დანართი | ვიზუალური დათვალიერებით<br>კომუნალური გადასახადების დამადასტურებელი დოკუმენტები |
| შეფასება | არ არის დაკმაყოფილებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტი. |

2.3 სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით

| | |
|---|---|
| აღწერა | სკოლას ჰყავს ბიბლიოთეკარი, წიგნები დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით და აღრიცხულია საინვენტარო წიგნში მხატვრული ლიტერატურა 702 ერთეული. გარდა |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..............................
მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..............................

მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

| | |
|---|---|
| | ამისა ბიბლიოთეკაში არის სასკოლო გრიფირებული სახელმძღვანელოები VII-XII კლასის თითო ეგზემპლარი მაინც, მაგრამ I-VI კლასების ახლადგრიფირებული სახელმძღვანელოებიდან სკოლის ბიბლიოთეკაში არც ერთი სახელმძღვანელო არაა, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ სკოლას სასკოლო სასწავლო გეგმით შერჩეული აქვს ახლადგრიფირებული სახელმძღვანელოები, დირექტორმა განმარტა, რომ შეძენას აპირებს და ვიზიტის პერიოდში დაიწყო კიდეც შეძენის პროცესი, თუმცა ვერ მოესწრო. ბიბლიოთეკაში არსებობს მკითხველთა ფორმულარები, კედელზე გამოკრულია ბიბლიოთეკის სარგებლობის წესები. |
| დადასტურება/დანართი | ვიზუალური დათვალიერებით;<br>საინვენტარო წიგნებით;<br>დირექტორთან გასაუბრებით. |
| შეფასება | არ არის დაკმაყოფილებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტი. |

2.4 სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის

| | |
|---|---|
| აღწერა | სკოლის პირველ სართულზე შემოსასვლელადმოწყობილია პანდუსი, ხოლო მეორე სართულზე ასასვლელად კიბეებზე გამოიყენება ხის მოძრავი პანდუსი.<br>გარდა ამისა, მეორე სართულის ერთი სველი წერტილი ნაწილობრივ ადაპტირებულია და სრულად ადაპტირებისთვის საჭიროებს მხოლოდ ხელსაყრდენების დამონტაჟებას, სკოლას მიეცა რეკომენდაცია დროულად გაეკეთებინათ მონტაჟი, რაზეც სკოლამ |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..............................
მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..............................

| | |
|---|---|
| | გამოთქვა მზაობა, თუმცა ვიზიტის პერიოდში სკოლამ ვერ მოასწრო დამონტაჟება. სრულად ადაპტირებისათვის საჭიროა დამონტაჟდეს საყდრენები. |
| დადასტურება/დანართი | ვიზუალური დათვალიერებით: |
| შეფასება | არ არის დაკმაყოფილებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „დ" ქვეპუნქტი. |

2.5 სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი ერთი კომპიუტერი (სპეციფიკაციები) არა უმეტეს 20 მოსწავლეზე. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას

| | |
|---|---|
| აღწერა | სკოლის მფლობელობაშია 5 კომპიუტერი.<br>სკოლის ვებ-გვერდია http://milenium.ge/ რომელიც ვიზიტის პერიოდში არ მუშაობდა.<br>აღსანიშნავია, რომ სკოლას ავტორიზაცია მიღებული აქვს 150 მოსწავლის ქვოტით და აქედან გამომდინარე მას დამატებით ესაჭიროება მინიმუმ 3 კომპიუტერი. |
| დადასტურება/დანართი | ვიზუალური დათვალიერებით;<br>ვებ გვერდის დომეინის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტით. |
| შეფასება | არ არის დაკმაყოფილებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მატერიალური რესურსის პარამეტრების თაობაზე" რეკომენდაციების დამტკიცების შესახებ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 09 აგვისტოს N572 ბრძანების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტი.<br>დაკმაყოფილებულია „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..............................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..............................

| | |
|---|---|
| | მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ე" ქვეპუნქტი. |

2.6 სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:

ა) ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;
ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;
გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;
დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები;

ე) კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს

| | |
|---|---|
| აღწერა | სკოლაში თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია საევაკუაციო გეგმები. სკოლის სამივე სართულზე განთავსებულია თითო ცეცხლმაქრი. სკოლას გამოყოფილი აქვს ოთახი ექიმისთვის, სადაც დგას სამედიცინო ტახტი, მაგიდა და სკამი. პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენისთვის საჭირო მედიკამენტები. დამტკიცებულია ექიმის თანამდებობრივი ინსტრუქცია. გათვალისწინებულია ექიმის შტატი, შერჩეულია კანდიდატი, რომელთანაც ვიზიტის პერიოდში გაფორმდა ხელშეკრულება. აქ |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..............................
მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..............................

| | |
|---|---|
| | მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა<br>აღსანიშნავია, ის გარემოება, რომ სკოლას, ტერიტორიული ცვლილების გამო (აბაშიდან ქუთაისში გადმოსვლა), არა მხოლოდ ქონის, არამედ მთელი ადამიანური რესურსის თავიდან შერჩევა მოუხდა. კერძოდ სკოლამ ხელახლა შეარჩია 24 მასწავლებელი (იხ. დანართი 6), ექიმი, ბიბლიოთეკარი, დარაჯი და დამლაგებელი. შერჩეული კანდიდატების კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას, ამასთან აღსანიშნავია, რომ შერჩეული მასწავლებლებიდან მხოლოდ 8 მასწავლებელია სქემაში ჩართული, ხოლო 16 არა. სკოლას მიეცა რეკომენდაცია, რომ ძოგადი განათლების კანონში შეტანილი ცვლილების თანახმად ამ 16 მასწავლებელს დაუდო ხელშეკრულება სქემაში ჩართვის გარეშე, 3-ს როგორც მოწვეულ მასწავლებელთან, ხოლო 13- ს როგორც პირობით აყვანილ მასწავლებელთან, რომლებმაც მომდევნო 2 წლის განმავლობაში უნდა გაიარონ მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა, ან ამავე პროგრამის დისტანციური კურსი.<br>სკოლის დირექტორის განმარტებით, გარდა მასწავლებლებისა, სკოლის ტერიტორიული ცვლილების გამო ქუთაისში სწავლაზე უარი განაცხადა სკოლის ყველა მოსწავლემ გარდა XII კლასის მოსწავლეებისა.<br>მოსწავლეთა უსაფრთხოების მიზნით სკოლა გეგმავს მასწავლებელთა მორიგეობას. სკოლას ჰყავს დარაჯი. სკოლის შიდა პერიმეტრზე დამონტაჟებულია 3 კამერა რომლებიც აკონტროლებენ სამივე სართულის დერეფანს. ხოლო გარე პერიმეტრზე ორი, რომელიც აკონტროლებს ძირითად შემოსასვლელს. სათადარიგო შესასვლელზე, რომელიც გამოიყენება საევაკუაციო გასასვლელად, სკოლას ვიზიტის დასაწყისში არ ჰქონდა კამერა, თუმცა ექსპერტთა რეკომენდაციით შეიძინა ერთი კამერა (იხ. დანართი 7), რომლის დამონტაჟებაც ვერ მოესწრო ვიზიტის პერიოდში. გარე კამერის პარამეტრი შეესაბამება მოთხოვნილს. |
| დადასტურება/დანართი | ვიზუალური დათვალიერებით: |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ...................................
მონიტორინგის ჯგუფის წევრი ...................................

| | |
|---|---|
| | მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა<br>მასწავლებელთა სიითა და საათობრივი დატვირთვი (დანართი 6, 5 ფურცლად);<br>კამერების შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტით (დანართი 7, ოთხ ფურცლად). |
| შეფასება | დაკმაყოფილებულია „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ვ.გ" და „ვ.დ" ქვეპუნქტი. |

2.7 სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები

| | |
|---|---|
| აღწერა | დაწესებულებას შემუშავებული აქვს:<br>ა) სსს-ს წესდება, რომელშიც მოცემულია ინფორმაცია სსს დამფუძნებელზე, და მართვის ორგანოებზე და მათ ფუნქციებზე;<br>ბ) შინაგანაწესი, რომელიც აღწერს მუშაკის სამუშაოზე მიღების, გადაყვანისა და დათხოვნის წესს; სამუშაო დრო და პირობები; მასწავლებლის უფლებები და მოვალეობები; სკოლის ადმინისტრაციის უფლებები და მოვალეობები; მუშაკის წახალისება და დისციპლინური პასუხისმგებლობა; სკოლაში მოსწავლეთა ჩარიცხვა და კლასიდან კლასში გადაყვანა; მშობლის უფლება-მოვალეობები; მოსწავლეთა უფლება-მოვალეობები მათი დისციპლინური დევნისა და წახალისების პირობები; სკოლაში აკრძალული წესები და მოსწავლეთა პირადი განაჩენი (იხ. დანართი 8, პუნქტი 10.12). აღნიშნულთან დაკავშირებით სკოლას მიეცა რეკომენდაცია განახორციელოს ცვლილება შინაგანაწესში, 2018 წლის 15 სექტემბრიდან ზოგადი განათლების კანონში განხორციელებული ცვლილების თანახმად (მუხლი 2, პუნქტი პ¹) |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..............................
მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..............................

მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში პირადი გახსნება შეიცვალა ზედაპირული ეკონტაქტო დათვალიერებით, რომელიც უნდა განახორციელოს სკოლის დირექტორის მიერ განსაზღვრულმა პირმა, სქესის მიხედვით.

გ) სასკოლო სასწავლო გეგმა, რომელიც დამტკიცებულია 2018 წლის 5 სექტემბერს, პედაგოგიურ საბჭოზე და რომლის შემადგენელი ნაწილებია:

- სკოლის მისია;
- სწავლისა და სწავლების ძირითადი პრინციპები და საგანმანათლებლო ორგანიზება;
- სკოლის მიზნები და ამოცანები ასფეხურების მიხედვით;
- საგნობრივი კათედრების ორგანიზება. სკოლაში მოქმედებს 5 კათედრა: დაწყებითების კათედრა, ქართული ენისა და ლიტერატურის და საზოგადოებრივი მეცნიერების კათედრა, ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრა, უცხოური ენების კათედრა და სპორტის, ხელოვნებისა და ესთეტიკური აღზრდის კათედრა; მოცემულია კათედრისა და კათედრის თავმჯდომარის ფუნქციები.
- კლასის დამრიგებლის საქმიანობა და უფლება მოვალეობები, ასევე მასწავლებელთა განაწილება დამრიგებლებად კლასების მიხედვით;
- სასკოლო კალენდარი და დღის რეჟიმი, რომელშიც გათვალისწინებულია ახალი ესგ-ს მოთხოვნა პირველკლასელთა 35 წუთიანი, მეორე კლასელთა 40 წუთიანი და III-XII კლასელბისთვის 45 წუტიანი გაკვეთილები;
- საათობრივი ბადე რომელიც თანხვედრაშია ეროვნულ სასწავლო გეგმის ახალ რედაქციასთან (I-VI კლასები) და ძველ რედაქციასთან (VII-XII კლასები);
- გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოების ნუსხა კლასების/დონეების და საგნების მიხედვით;
- ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურება, რომლის ფარგლებში სკოლა მოსწავლეებს



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..............................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..............................

| | | |
|---|---|---|
| | | მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა<br>სთავაზობს რუსული ენის სწავლებას III-IV კლასებში, ასევე მეტყველების კულტურისა და სახალისო მათემატიკის წრეებს.<br>• მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების წესები;<br>• შემაჯამებელი დავალებების რაოდენობა საგნებისა და კლასების/სემესტრების მიხედვით, ასევე შემაჯამებელ დავალებათა აღდგენის პროცედურები;<br>• გამოცდის ტიპები;<br>• ინკლუზიური განათლების პრინციპები;<br>• სასკოლო სასწავლო გეგმის მონიტორინგისა და განვითარების აღწერა, რომლის მიხედვითაც ყოველი სემესტრის ბოლოს პედაგოგები და კლასის დამრიგებლები წარადგენენ ანგარიშს გაწეული საქმიანობის შესახებ, ასევე შეიმუშავებს ანგარიშს სკოლის დირექტორი, ამის შემდეგ სკოლის შეფასების ჯგუფი ადმინისტრაციასთან ერთად შეიმუშავებს რეკომენდაციებს სასკოლო სასწავლო გეგმის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ.<br>სასკოლო სასწავლო გეგმა შესაბამისობაშია ეროვნულ სასწავლო გეგმასთან.<br><br>სკოლას ასევე შემუშავებული აქვს კათედრის დებულებები, თანამდებობრივი ინსტრუქციები. აღნიშნული დოკუმენტაციით სკოლა გეგმავს და წარმართავს თავის ყოველდღიურ საქმიანობას. |
| | დადასტურება/დანართი | წესდებით;<br>შინაგანაწესით (დანართი 8, ოცდათხუთმეტ ფურცლად);<br>სასკოლო სასწავლო გეგმით. |
| | შეფასება | დაკმაყოფილებულია „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ზ" ქვეპუნქტი. |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..............................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..............................

**2.8** შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს

| | |
|---|---|
| აღწერა | სკოლას შემუშავებული აქვს განვითარების ექვსწლიანი/გრძელვადიანი სტრატეგიული გეგმა (2016-2022 წწ) და 2018-2019 სასწავლო წლის განვითარების ერთწლიანი გეგმა. გეგმები შემუშავებულია ე.წ. SWOT ანალიზის შედეგად. ისინი ითვალისწინებენ მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს. კერძოდ ზრუნვა საკუთარი შენობის შეძენაზე, კომპიუტერების განახლება და სხვა. |
| დადასტურება/დანართი | სკოლის ექვსწლიანი და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები; |
| შეფასება | დაკმაყოფილებულია „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „თ" ქვეპუნქტი. |

**2.9** დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა

| | |
|---|---|
| აღწერა | დაწესებულებაში მიმდინარეობდა შემოსული და გასული დოკუმენტაციის აღრიცხვა. ასევე დირექტორის მიერ გამოცემული ბრძანებების აღრიცხვა. კორესპონდენციები დაცულია შესაბამის საქაღალდეებში. |
| დადასტურება/დანართი | შემოსული და გასული კორესპონდენციების აღრიცხვის ჟურნალებით; |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..........................................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..........................................

| | მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა |
|---|---|
| შეფასება | გასული წლის ბრძანებების აღრიცხვის ჟურნალით. დაკმაყოფილებულია „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ი" ქვეპუნქტი. |

თანდართული დოკუმენტაცია

1. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან - (დანართი N1 - 3 ფურცლად);
2. იჯარის ხელშეკრულება - (დანართი N2 - 5 ფურცლად);
3. ამონაწერი მეწარმეთა რეესტრიდან - (დანართი 3 – 2 ფურცლად).
4. შიდა აზომვითი ნახაზი - (დანართი 4 -2 ფურცლად);
5. ლაბორატორიის შესყიდვის დოკუმენტაცია - (დანართი 5 - 5 ფურცლად);
6. მასწავლებელთა სია და საათობრივი დატვირთვა - (დანართი 6 - 5 ფურცლად);
7. კამერების შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტი - (დანართი 7 - 4 ფურცლად).
8. შინაგანაწესი (დანართი 8 - 35 ფურცლად);



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..............................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..............................